ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6779690

ნომერი: AR1979389

თარიღი : 24.11.2023

გაცემის თარიღი : 04.12.2023

გაცნობის თარიღი : 05.12.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნინოშვილი , N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ნიჟარაძე პ/ნ 01008020676
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 16 კორ. 1 ბ. 10

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი - ჩუღურეთი), ნინოშვილის ქ. №8-ში, კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობაზე QR კოდის განთავსებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (საერთო საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882022534316, 22/07/2022წ. საკადასტრო კოდი №01.16.05.009.002; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომის ოქმი N40, 19.10.2023წ ; 2023 წლის 27 სექტემბრის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი; ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში (სექტორი - ჩუღურეთი), ნინოშვილის ქ. №8-ში, კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობაზე QR კოდის განთავსების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

გაითვალისწინეთ:
- შენობაზე, საპროექტო არეალში სამისამართო ან/და მემორიალური აბრის არსებობის შემთხვევაში QR კოდი განთავსდეს აღნიშნული აბრების ქვეშ, ცენტრში
- QR კოდის განთავსებისას გათვალისწინებული იქნეს არსებული შენობის ფერი;

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.